



სსიპ- აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

პროგრამა- „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია და განვითარება“ ითვალისწინებს აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია-კონსერვაციას, მუზეუმ-ნაკრძალების ინფრასტრუქტურის მოწყობას, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აჭარაში და ძეგლების მარკეტინგულ მხარდაჭერას.

- ✓ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ 2020 წელს განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პეტრას ციხის რეაბილიტაციის პროექტი. პეტრას ციხის რეაბილიტაცია 2015 წელს დაწყო. რეკონსტრუქცია ჩატარდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ, აღმოსავლეთ კედლებს და დერეფნის უბანს, რითაც უფრო თვალსაჩინო გახდა ძეგლის თავდაპირველი დაგეგმარება. 2018-2021 წლებში ციხის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურითი მოწყობის პროექტი განხორციელდა. აშენდა ვიზიტორთა ცენტრი, 2 საექსპოზიციო ნაგებობა, კინოსაპროექციო. ლიმონარიუმის 4 ტერასაზე გაკეთდა ადაპტირებული სასეირნო ბილიკები და 6 ადაპტირებული ლიფტი შშმ პირებისათვის. მოეწყო ავტოპარკინგი. ბიუჯეტი - 2 000 000 ლარი.
- ✓ დასრულდა გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის ინფრასტრუქტურით მოწყობის სამუშაოები; (მოეწყო გარე ბილიკები, ადაპტირებული საპირფარეშო, სუვენირების მაღაზია) ბიუჯეტი - 150 000 ლარი
- ✓ დასრულდა ქ.ბათუმში, ვახტანგ გორგასალის ქუჩის N24-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია. ბიუჯეტი 337, 765 ლარი.
- ✓ შესყიდულ იქნა ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები (დ'ალფონსის სააგარაკო სახლი, ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი, ბათუმის მოსწავლე

ახალგაზრდობის სასახლე, ხინოს ეკლესია, ხიმშიაშვილების „ნიგაზეულის“ ციხე) ბიუჯეტი -173 000 ლარი.

- ✓ განხორციელდა 3 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბიუჯეტი 60 000 ლარი.
- ✓ მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიციები (ფიჭვნარის ნაქალაქარი, გონიოს ციხე, პეტრას ციხე) ბიუჯეტი 55,000 ლარი.
- ✓ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სახით გასულ წელს პირველად შეემატა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა. ამ მიმართულებით სააგენტოს ინიციატივით აჭარის ტრადიციული კულტურის სამ ელემენტს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ესენია: „ბორანოს მომზადების წესი და ტრადიცია“, „ტრადიციული აჭარული ნაქარგობა“ და „განდაგანა და მისი ხალხური საწყისები“.
- ✓ ფონდ „ქართუ“-სთან არსებული საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის თანადგომით ბათუმში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა კულტურული მემკვიდრეობის 7 ძეგლს. (კ.გამსახურდიას ქ. N35- წმ.თეოდორე აჭარელის სახელობის ეკლესია -(ბიუჯეტი - 700 000 ლარი) ნ.ჟორდანიას ქ N14- (ბიუჯეტი - 401 103 ლარი) მაზნიაშვილის ქ. N6/აბაშიძის N15- (ბიუჯეტი - 754 590 ლარი) გამსახურდიას N13/მ. აბაშიძის ქ.N23 - (ბიუჯეტი - 147 089 ლარი) ე.წ „რვაფეხა“; ბათუმის დრამატული თეატრი; მწერალთა სახლი; და განხორციელდა ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის ფრესკების რესტავრაცია.

სულ დაიხარჯა 4 875 765 ლარი

- ✓ მერიის დაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბათუმში, ზუბალაშვილის ქუჩა N38 -ში და თავდადებულის N 35 -ში მდებარე ძეგლებს.